რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი

(მოძიებულია, სხვადასხვა ისტორიული კვლევების შედეგად)

რაჭის შესახებ ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში ძალზე ცოტა ცნობები გვხვდება.
ადამიანის ცხოვრების უძველესი ნაშთი, რომელსაც მიაგნეს არქეოლოგებმა რაჭაში ეკუთვნის ე.წ. მეზოლითის ხანას.
1958 წ. არქეოლოგთა ექსპედიცია მდ. ჯეჯორას და მისი შენაკადების ხეობებში მუშაობდა. ბოჭონას მთის კირქვიან მასივში,ზღვის დონიდან 1550მ სიმაღლეზე მდებარე მღვიმის ზედაპირზე არქეოლოგებმა ადრეფეოდალური და ბრინჯაოს ხანის ნივთებთან ერთად ქვის ხანის ადამიანთა ნივთებიც აღმოაჩინეს. დადგინდა,რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ათი ათასი წლის წინ უცხოვრია.
შუა ბრინჯაოს ხანაში რაჭაში გაჩნდა დასახლება ბრილი, რომლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას ბრინჯაოს მეტალურგია წარმოადგენდა (ბრილი მდებარეობს სოფ.ღებიდან თექვსმეტიოდე კმ-ის დაშორებით მდ. რიონის ზემო წელში.)
ბრილის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები 1938წლიდან დაიწყო. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი. .არქეოლოგებმა შეისწავლეს სამაროვანი,სადაც ძველი ქართველი მეტალურგები და მათი ოჯახის წევრები იმარხებოდნენ. აქ იპოვეს სხვადასხვა სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების იარაღები, ბრინჯაოს ვერძის თავები, ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებები, სამა-ჯურები
გვიან ბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა და მისი დამზადების ტექნოლოგია უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. სამარხებში უკვე გვხვდება კოლხური ცულები და სატევრები, ბრინჯაოს თოხები და ნამგლები, უფრო მრავალფეროვანი ხდება ბრინჯაოს სამკაულები.
ძვ.წ.აღ VII ს-ში რკინის მეტალურგიამ წამყვანი ადგილი დაიკავა საქართველოში. ამ ხანიდან საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები თითქმის მხოლოდ ამ ლითონისგან მზადდებოდა. მიუხედავად ამისა, ბრილში ბრინჯაოს წარმოება არ შეწყვეტილა, თუმცა ბრინჯაოსგან ძირითადად სამკაულებს და რელიგიური რიტუალებისთვის საჭირო ნივთებს ამზადებდნენ. განსაკუთრებით მდიდრულ სამარხებს არქეოლოგები იმ კულტურულ ფენებში შეხვდნენ, რომლებშიც ძვ.წ.აღ. VIს-ისა და მომდევნო საუკუნეების მიცვალებულები არიან დაკრძალულნი. (თიხის საუცხოო ჭურჭელი, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს უამრავი სამკაული, ქარვის, ფერადი მინის მძივები, ბრინჯაოს ქანდაკებები)

ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ფუფუნების საგნების ნაწილი უცხო ქვეყნებიდან არის შემოტანილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან. ბრილში აღმოჩნდა შორეული ეგვიპტიდან შემოტანილი ნივთებიც. ანტიკურ ხანაში რაჭაზე გადიოდა გზები, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა.
III-IVსაუკუნეებში ჩრდ. კავკასიაში ტომთა მრისხანე გაერთიანებები შეიქმნა, რომლებიც კავკასიონის გადმოლახვას და შავი ზღვისკენ გაჭრას ცდილობდა.
IVს-ის 70-იან წლებში ჰუნები დას.საქართველოს მთიანეთში შემოიჭრნენ. ვარაუდობენ, რომ ჩრდ. კავკასიის მომთაბარე ტომების შემოსევას შეეწირა ბრილის მეტად საინტერესო კულტურა.

რაჭის საერისთავო ისტორიიდან

მეათე საუკუნის ბოლომდე რაჭა, როგორც ცალკე ისტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა. შემდეგდროინდელი საერისთაოს ტერიტორია ორ ქართულ პროვინციაში თაკვერში და სვანეთში იყო განაწილებული (ე.წ რაჭის „მთიულეთი" სვანეთს ეკუთვნოდა. X ს-ის დასასრულამდე სვანეთში გლოლა და უწერაც შედიოდა).
ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში თაკვერი ვრცელი პროვინცია იყო, რომელშიც სულ ცოტა სამი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა იყო გაერთიანებული. ერთი ასეთი იყო რაჭა, რომელიც დღევანდელი ზემო და ქვემო რაჭის დიდ ნაწილს მოიცავდა.
ადრეფეოდალურ ხანაში სვანეთი და თაკვერი ეგრისის ანუ ლაზიკის საერისთავოები იყო, რომელთაც მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებდნენ. მხოლოდ V საუკუნის 60-70-იან წლებში ეს ორი პროვინცია მცირე ხნით ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა. XIს-ის ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს მოხსენებული ჰყავს ვახტანგ გორგასლის ერისთავებს შორის „სამნაღირ, შიდა ეგრისის და სვანეთისა" და „ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკუერისა".
V-VIII საუკუნეები უმძიმესი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.მას ჯერ აღმოსავლეთიდან ირანი უტევდა, ხოლო დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერია. შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის დიდი ომი გაჩაღდა, რომლის მთავარ ასპარეზად დას. საქართველო გადაიქცა. ბიზანტია-ირანს შორის ომის დასრულების შემდეგ საქართველოს ახალი მტერი მოევლინა არაბების სახით.
რაჭის ტერიტორია ანტიკურ ხანაში მჭიდროდ იყო დასახლებული. VI-VIIIსაუკუნეებში ძნელბედობის ჟამს მოსახლეობა ძალიან შემცირდა. IXს-ის დასაწყისიდან მშვიდობიანი ხანა დადგა და მოსახლეობამაც სწრაფად იწყო

მატება. X ს-ში რაჭა მჭიდროდ იყო დასახლებული, ამიტომ მეფე ბაგრატ III ამ მხარეში ახალი საერისთავო ჩამოაყალიბა. ბაგრატ III ერისთავად ლიპარიტის ძეთა ანუ ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი დანიშნა.
კაცხის მონასტერში 20-იან წლებამდე ინახებოდა ჯვარი, რომლის წარწერაში ,,რატი რაჭის ერისთავი ძითურთ'' ღმერთს შეწყალებას და დახმარებას თხოვს. ეს ჯვარი და მისი წარწერა აკად. გ. ჩუბინაშვილმა X საუკუნის დასასრულით და XI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა. ეს არის რაჭის საერისთავოსი და თვით რაჭის უძველესი წერილობითი მოხსენიება. რატი კი რაჭის პირველი ერისთავი რატი ლიპარიტის ძეა.
რატი ლიპარიტის ძე ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს მეფეს. იგი 1021წელს დაიღუპა შირიმნის ბრძოლაში სამხრეთ საქართველოში, სადაც მეფე გიორგი I ბიზანტიის იმპერატორ ბასილისაგან საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა.
რატი ლიპარიტის ძის სიკვდილის შემდეგ გიორგი პირველმა რაჭის ერისთავობა მის ვაჟს კახაბერს უბოძა. დაახლოებით 10 წლის შემდეგ კახაბერ ერისთავი ბერად აღიკვეცა კირილეს სახელით და საქართველოს მეფემ საერისთავო მის შვილს რატი კახაბერის ძეს გადასცა. აქედან მოყოლებული კახაბერისძე მამის სახელიდან გვარსახელად გადაკეთდა, რომელსაც ბაღვაშთა სახლის ის შტო ატარებდა, რომელიც რაჭაში იყო დამკვიდრებული. ასე რომ რაჭის ერისთავთა პირველ დინასტიას კახაბერისძეებს უწოდებენ.
რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ თაკვერის საერისთავოს მნიშვნელობა ძალიან შეიზღუდა. შუა ფეოდალურ ხანაში იგი მხოლოდ ცხენისწყლის ხეობის შუა წელს, დაახლოებით დღევანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტს მოიცავდა.
XIსაუკუნეში თაკვერი სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა, შემდეგ კი რაჭის ერისთავებს გადაეცა.
რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში გადავიდა ე.წ. რაჭის ,,მთიულეთის'' ორი სოფელი _ უწერა და გლოლა.
შუაფეოდალურ ხანაში ყველა და მათ შორის რაჭის ერისთავიც, საქართველოს მეფის მოხელეს წარმოადგენდა. იგი თავის საერისთავოში კრებდა სახელმწიფო გადასახადს და საჭიროების შემთხვევაში რაჭის ლაშქარს უძღოდა წინ.
კახაბერისძეთა მთავარ ციხესიმაგრეს სოფ. წესთან მდგარი მინდაციხე წარმოადგენდა. აქვე რაჭის პირველმა ერისთავმა რატი ლიპარიტის ძემ, თავისი კარის ეკლესია, ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია ააგო, სადაც საეკლესიო სამსახური 1753 წლამდე სრულდებოდა. (შემდეგ კი,როდესაც ბარაკონში ახალი ტაძარი აიგო, ძველ ეკლესიაში წირვა-ლოცვა შეწყდა. ბარაკონის ძველი ეკლესია დღეს მთლიანად დანგრეულია).
ქვემო რაჭაში, სოფ. პატარა ონში დგას ძველი ეკლესია, რაკეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც XIს-ის პირველ მესამედშია აშენებული.

ეკლესიის აღ. ფასადზე ასომთავრული წარწერა იყო, რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იკითხება “წმიდაო ნიკოლოზ საკვირველთმოქმედო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მფარველ ექმენ ყოველთა დღეთა ცხოვრებასა მათისათა კახასა და ადელაიდას, რომელთა აღაშენეს წმინდა ეკლესიაი ესე.”
წარწერაში მოხსენიებული კახა იგივე კახაბერ რატის-ძე, რაჭის მეორე ერისთავია.
ორი საუკუნე რაჭის ერისთავები ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს მეფეს და დიდ წარმატებასაც აღწევდნენ.
1245 წელს როდესაც ქართველებმა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს და მოსათათბირებლად კოხტასთავს შეიკრიბნენ შეთქმულთა დშორით რაჭის ერისთავიც იყო, მაგრამ აჯანყება არ მოხერხდა.
1247-1248 წწ მონღოლებმა საქართველოში ერთდროულად ორი მეფე დასვეს. ლაშა გიორგის შვილი დავითი (დავით ულუ) და რუსუდანის ძე ასევე დავითი (დავით ნარინი). თავდაპირველად მეფეებს შორის მეგობრობა სუფევდა, შემდეგ დიდებულებმა ისინი ერთმანეთს დაუპირისპირეს. დაპირისპირების ერთ-ერთ ინიციატორად რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს მიიჩნევენ, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს დავით ულუს ცოლად ჰყავდა რაჭის ერისთავის ასული გვანცა, (მათი შვილი იყო დემეტრე, შემდგომ დემეტრე თავდადებულად წოდებული).
დავით ულუ 1261 წელს იძულებული შეიქნა მონღოლებს დამორჩილებოდა. ამის შემდეგ დაახლოებით 70 წლის განმავლობაში საქართველო ორ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად იყო გაყოფილი. რაჭის საერისთავო დას. საქართველოში შედიოდა, რომელიც მონღოლთა ბატონობას არ ცნობდა. რაჭის ერისთავი კახაბერი არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს მეფეს დავით ნარინს. დავით ნარინმა რაჭის ერისთავს საერისთავო ჩამოართვა და სასტიკად დასაჯა. მისი შვილები კი კონსტანტინოპოლს გაგზავნა.
XIVსაუკუნის დასასრულს და XVსაუკუნის დასაწყისში მეფემ ამ მხარეში ერისთავობა აღადგინა და ჭარელისძეთა საგვარეულოს გადასცა.
1489წ. ერთიანი ქართული სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა სამეფო-სამთავროებად. რაჭის საერისთავო ახლადშექმნილ იმერეთის სამეფოში შევიდა. იმერეთის სამეფოში რეფორმები ბაგრატ III ჩაატარა. 1534 წელს მეფემ რაჭისთვისაც მოიცალა:,,ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე—მინდა”__წერს ვახუშტი ბატონიშვილი.
რაჭის საერისთავოს საზღვრები მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი 1534წელს, X-XIII საუკუნეებთან შედარებით. ამ დროისათვის მის შემადგენლობაში შედიოდა ე.წ. რაჭის ,,მთიულეთი” თითქმის მთლიანად. რიონის სათავეები რაჭას ეკუთვნოდა.სამხრეთ-დასავლეთით კი საერისთავოს ტერიტორია ნაწილობრივ შემცირებული იყო. გვიანფეოდალურ ხანაში თაკვერი აღარ არსებობდა. მისი ადგილი ლეჩხუმმა დაიკავა.

XVII ს-ის 60-იან წლებამდე რაჭის ერისთავები იმერეთის მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ. ,ბაგრატ III იმერთა მეფემ, თავის სამეფო ოთხ სადროშოდ ანუ სასარდლოდ დაყო. მესამე სასარდლო რაჭა, ბუნებრივია, მის ერისთავს ჩააბარა. რაჭას ლაშქარი ბარშიც გაყავდათ, როცა ქვეყანას თურქები შემოესეოდნენ, მაგრამ მათ ძირითადად იმერეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა ევალებოდათ.
1679 წელს რაჭაში თურქებმა ილაშქრეს და ,,მოსწუნეს, მოსტყვევნეს" ეს მხარე 1716წ. ისინი კვლავ შეეცადნენ რაჭაში შეჭრას, მაგრამ უშედეგოდ. შინაომი ანადგურებდა ქვეყანას. ერთხანს ერისთავებს რაჭის თავადებიც უჭერდნენ მხარს. შემდეგ ვითარება შეიცვალა. ერისთავებმა ადგილობრივი თავადების ყმა-მამულის მითვისება და მათი რაჭიდან გაძევება დაიწყეს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას როსტომ ერისთავმა მიაღწია, რომელმაც ეს ტიტული დაახლოებით 1750წ. მიიღო. მან გააძევა თავადები: ჯაფარიძეები, წუკუკიძეები, იაშვილები და რაჭის ფაქტიური მფლობელი გახდა. როსტომი დიდ ყურადღებას უთმობდა ერისთავთა მთავარი რეზიდენციის მოვლას.მან გაამაგრა ხიდიკარის კოშკები და მინდა ციხე, აღმოსავლეთ საქართველოდან საგანგებოდ მოიწვია ვინმე ავთანდილ შულავრელი და ახალი ეკლესიის აგება დაავალა. ბარაკონის ეკლესიის მშენებლობა 1753წ. დასრულდა, რაზეც მეტყველებს დასავლეთის კარის თავზე შემორჩენილი წარწერა, რომელშიც როსტომ ერისთავი და მისი ოჯახის წევრები არიან მოხსენიებული. აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე წარწერაში ,,ოსტატი შულავრელი ავთანდილი"არის მოხსენიებული.
როსტომ ერისთავი ებრძოდა იმერეთის მეფე სოლომონ I 1769 წლის სექტემბერში სოლომონმა შეიპყრო რაჭის ერისთავი, დააბრმავა და საერისთავო ჩამოართვა. დაისაჯნენ როსტომ ერისთავის ვაჟებიც. რაჭიდან გაძევებულ ფეოდალებს ყმა-მამული დაუბრუნეს. ერისთავთა მამული კი მეფის საკუთრებად გამოცხადდა.
1784წ. სოლომონ I გარდაიცვალა და ტახტი დავით მეფემ დაიკავა. მან აღადგინა რაჭის საერისთავო და ერისთავობა მის დისწულს ანტონს უბოძა. 1789წ. იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა სოლომონ II, რომელმაც საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო. ორი ათეული წლის შემდეგ იმერეთის სამეფოსაც მოეღო ბოლო 1810წ. იმერეთის სამეფო რუსეთმა შეიერთა.